ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია ,,ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო”

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 595712727

N 147
27/03/2018

147-07-3-201803271525

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 26 მარტს გაიმართა ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ს სხდომა. გიგზავნით აღნიშნული სხდომის ოქმს.

დანართი: ოქმი N 6- 5(ხუთი) ფურცელი

პატივისცემით,

ბესიკ კუპრაძე

ფრაქციის თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს "
სხდომის ოქმი №6

ქ.ლანჩხუთი **26.03.2018 წელი**

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე

ფრაქციის წევრები:

კახა ბოლქვაძე, ციცინო ჩხაიძე, რეზო კვაჭაძე, თორნიკე ტიკაძე, რევაზ კვერენჩხილაძე ,ზაალ სანაძე,ცისანა ურუშაძე,გიორგი ჩახვაძე,გოდერძი ქურიძე,გიორგი გვარჯალაძე,ვლადიმერ ნანაძე,დავით ჩხარტიშვილი

მოწვეული პირები:მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მამუკა ვადაჭკორია.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ბესიკ კუპრაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი ბ. კუპრაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი ბ. კუპრაძე/

3.სხვადასხვა.

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე13 , წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ეკონომიკის ქონების მართვისა და ბუნერივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძემ მან აღნიშნა, რომ როგორც მოგეხსენებათ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მომართა სსიპ- სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ქალბატონმა ეკატერინე სისაურმა 2018 წლის 16 თებერვლის №5/9184 წერილით- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქ. №126-ში არსებული შენობა-ნაგებობის მე-2 სართულზე მდებარე ორი ერთეული უძრავი ქონების საკადასტრო კოდები: №27.06.51.005.01.111 და №27.06.51.005.01.112) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, შემდგომში აღნიშნული ქონების შპს ,,საქართველოს გაერთიანებული

წყალმომარაგების „კომპანიის“ კაპიტალში შეტანის მიზნით. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 108-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ზემოაღნიშნულ საკითხზე მოთხოვნის წარმოდგენიდან 45 დღის განმავლობაში არ მიიღო გადაწყვეტილება,მაშინ მოთხოვნილი ქონება სახელმწიფოსათვის გადაცემულ ქონებად ჩაითვლება და სახელმწიფო ქონებად დარეგისტრირდება.

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა საკითხს:
მომხრე 13, წინააღმდეგი არცერთი.

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მოწონებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეორე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, **მამუკა ვადაჭკორიამ.** მისი თქმით, თუ იმ ობიექტების რეალიზაცია მოხდება, რომელიც საპრივატიზაციო ნუსხით არის წარმოდგენილი, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოვა 1 348 126 ლარი. ასევე წარმოდგენილია მესამე დანართის სახით მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული საპრივატიზაციო ავტომობილების ნუსხა.

დეპუტატმა გიორგი ჩახვაძემ აღნიშნა რომ აუცილებელია უმოკლეს დროში დაბარებულ იქნეს ყველა მაჟორიტარი დეპუტატი და აღირიცხოს სოფლებში არსებული ყველა ის ობიექტი რომელიც ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა და შეფასდეს აუდიტის მიერ და გადმოეცეს ადგილობრივ ხელისუფლებას,რადგან ბევრი მათგანი არის სრულიად ამორტიზებული და საჭიროებს დანგრევას.ასევე ამ ობიექტთა ნაწილი შესაძლოა გასხვისდეს,რაც ადგილობრივ ბიუჯეტში თანხას შემოიტანს.

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა საკითხს:
მომხრე 13, წინააღმდეგი არცერთი.

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მოწონებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხვადასხვა:

სხდომის თავმჯდომარემ, ბესიკ კუპრაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ დაეწერა ა(ა)იპ "გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლის" ყოფილი დირექტორის დურმიშხან ჩხაიძის წერილი, რომელშიც იგი ითხოვს "გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლის" ცალკე კლუბად დაფუძნებას. კლუბი დაკომპლექტდება "გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლის" სატურნირო განაცხადში წარდგენილი სპორტსმენებით და დამოუკიდებლად მიიღებს მონაწილეობას ეროვნულ ჩემპიონატში. კლუბის ფუნქციონირებისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის 10%-ით დაფინანსება მოხდება სპონსორის მიერ. ასევე გუნდი მაქსიმალურად კონცენტრირებული იქნება მაღალი სპორტული შედეგების მიღწევისკენ.
ასევე მან სხდომას გააცნო საქართველოს ქალთა ფეხბურთის ფედერაციის წერილი,რომლის თანახმადაც საქართველოს ქალთა ფეხბურთის ფედერაცია მიესალმება კერძო სექტორთან თანამშრომლობის მსგავს

ფორმატს და მიზანშეწონილად მიიჩნევს კლუბის დამოუკიდებელ სტრუქტურად ფუნქციონირებას,თუ ეს ხელს შეუწყობს სპონსორის მოზიდვას და ამით საბიუჯეტო სახსრების დაზოგვას.
ცხადია ასევე არსებობს სპორტული ასპექტის-მიმაჩნია,რომ ცალკე დამოუკიდებლად მოქმედი ორგანიზაცია უფრო მეტად იქნება ორიენტირებული მაღალი სპორტული შედეგების მიღწევაზე,ვიდრე სპორტის სხვა სექციებთნ გაერთიანებული გუნდი.ფედერაცია აღნიშნულ წერილში იმედს გამოთქვამს რომ გულდასმით იქნება განხილული აღნიშნული საკითხი და მიღებული იქნება ოპტიმალური გადაწყვეტილება.
სპონსორის მიერ გამოგზავნილ წერილის თანახმათ ის მზადყოფნას გამოთქვამს სპონსორობის თაობაზე (დამტკიცებული ბიუჯეტის 10%-ის ფარგლებში),მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სკოლა დამოუკიდებელ ერთეულად გააგრძელებს საქმიანობას.
დეპუტატმა გიორგი ჩახვაძემ აღნიშნა რომ აუცილებელია ქალთა ფეხბურთის განვითარებას ხელი შეეწყოს და თუ არგუმენტირებული იქნება რომ ამ რეორგანიზაციით ხელი ეშლება ამ ბავშვების წარმატებას და არსებობს რეალური საფრთხე რომ ეს გოგონები ვერ მიიღებენ ტურნირებში მონაწილეობას ამ შემთხვევაში იქნება თანახმა მხარი დაუჭიროს კლუბის ცალკე ჩამოყალიბებას.ასევე მან აღნიშნა რომ საფეხბურთო გუნდში გურია-2-ჩიბათში თამაშობს 30 პერსპექტიული ლანჩხუთელი ახალგაზრდა რომელმაც ექვს ამხანაგურ მატჩში მოიპოვა გამარჯვება,გუნდი საჭიროებს დახმარებას 15 ათასი ლარის ოდენობით რომ მიაღწიოს შემდგომ გამარჯვებას და გადავიდეს შემდეგ ლიგაში სადაც დაფინანსება გაეზრდება.მისი აზრით აუცილებელია გოგონათა გუნდთან ერთად ამ ახლადშექმნილი გუნდის ხელშეწყობაც და ცალკე კლუბად ჩამოყალიბება.

ასევე **დეპუტატმა გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა რომ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველოს გურიის გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების განყოფილების უფროსი მოწვეულ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე რეგიონში არსებული გაუსაძლისი მდგომარეობის გამო.

დეპუტატმა ციცინო ჩხაიძემ აღნიშნა რომ არსებობს სახელმწიფო აუდიტის დასკვნა რომელიც საჭიროა ამოღებულ და შესწავლილ იქნეს ყველა ის შენიშვნით,რომელიც გააჩნია სახელმწიფო აუდიტს და სამოქმედოდ გადაეცეს აღმასრულებელ ხელისუფლებას შემდგომი რეაგირებისათვის.ასევე მან აღნიშნა რომ აუცილებელია მოწესრიგდეს გარე ვაჭრობის თემა რადგან ქალაქში არის სრული ანტისანიტარია და გამოიყოს ბაზრის ტერიტორია სადაც განთავსდება მოვაჭრეები.

დეპუტატმა დათო ჩხარტიშვილმა აღნიშნა რომ "გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლას აქვს შედეგები და ხელი უნდა შეეწყოს ამ ბავშვებს.ასევე მან აღნიშნა რომ როგორც სპონსორის წერილში ჩანს ის დაეხმარება ცალკე ჩამოყალიბებულ კლუბს და არა ცენტრში გაერთიანებულ ა.ა.ი.პს.

დეპუტატმა ზაალ სანაძემ აღნიშნა რომ ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლის თანამშრომელებს ჰქონდა დეკემბრის თვეში განცხადება შემოტანილი,რომლის თანახმადაც სურდათ საფეხბურთო სკოლის ცალკე ფუნქციონირება ამიტომ საჭიროა ამ საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება.

ფრაქციის წევრებმა ერთხმად აღნიშნეს რომ აღნიშნული საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას და საჭიროა წარმოადგინონ დამატებითი არგუმენტაცია თუ რა პრობლემები შეიძლება შეექმნას "ა.ა.იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის"გაერთიანებაში დარჩენით და არა კლუბად ჩამოყალიბებით.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ფრაქცია
,,ქართული ოცნება-დემოკრატიული
საქართველოს“ თავმჯდომარე: ბესიკ კუპრაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ფრაქციის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი
26.03.2018 წელი

სახელი, გვარი	დრო	ხელმოწერა
1. თავმჯდომარე – ბესიკ კუპრაძე	13 50	
2. ბესიკ ტაბიძე		
3. ვლადიმერ ნანაძე	13 50	
4. გოდერძი ქურიძე	13 55	
5. კახა თედორაძე		
6. რეზო კვაჭაძე	13 55	
7. ციცინო ჩხაიძე	13 55	
8. ზაალ სანაძე	13 55	
9. ცისანა ურუშაძე	14 05	
10.გიორგი ჩახვაძე	13 50	
11.გიორგი გვარჯალაძე	13. 58.	
12. დავით ჩხარტიშვილი	13 50	
13.თორნიკე ტიკაძე	13 59	
14.კახა ბოლქვაძე	13:59	
15.რევაზ კვერენჩხილაძე	14 00	